



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N8

ქ. მარნეული

15.05.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: -

ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, გივი ქველაძე, გიორგი შუკაკიძე, ქამილ ალიევი.

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

- 1.ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამაღლია ურუმოვას განცხადების განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4162 წერილის განხილვის შესახებ.
5. სოფელ თაზაკენდში მცხოვრებ მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4163 წერილის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 18 აპრილის N1694-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მაისის N03/5357 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აპრილის N03/4002 წერილით შემოსულია ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ფინანსური გეგმა, ვინაიდან 2017 წლის 06 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N260 „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესების კომპონენტის „ ფარგლებში, მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება) მომსახურების შესყიდვა (CPV85140000, SMP160003707) თანხით 2560,00 ლარი, აღნიშნული თანხა დაემატა მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას,

რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქე ამალია ურუმოვას განცხადება, რომელსაც დაეწვა თივით დატვირთული ავტომანქანა და ითხოვს ზარალის ანაზღაურებას. ბიუროს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ ავტომანქანა რომ ყოფილიყო დაზღვეული, მას ზარალს აუნაზღაურებდა სადაზღვევო კომპანია. ამ ეტაპზე კი მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა აღნიშნული ზარალის ასანაზღაურებლად, რის გამოც მოქალაქე ამალია ურუმოვას ეთქვა უარი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 აპრილის N03/3862 წერილი, რომლითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აპრილის სხდომაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოს წევრებმა მოითხოვეს ასოციაციის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, საკითხი იქნა გადადებული. ამ ეტაპზე ასოციაციამ წარმოადგინა ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4162 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაკენდის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება თაზაკენდის N1 საჯარო სკოლისთვის მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ამრახ ასლანოვის სახელის მინიჭების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ N2/3 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვით წესდება მშენებლობის მოსაკრებლის ახალი ტარიფები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მემვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 18 აპრილის N1694-03 მოხსენებითი ბარათით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით ითხოვენ თანხმობას, რათა მოქალაქეთა ჯგუფმა სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით აიღონ ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მაისის N03/5357 წერილი ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მერვე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი